თბილისის თავისუფალი აკადემია

ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. თბილისის თავისუფალი აკადემიის (შემდგომში - „აკადემია“) ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური წარმოადგენს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიაში ფინანსური პოლიტიკის წარმართვას.

1.2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის დებულების, პერსონალის მართვის წესის და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. სამსახურის მართვა

2.1. სამსახურს წარმართავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის რექტორი.

სამსახურს ჰყავს მთავარი სპეციალისტი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის რექტორი.

2.2. სამსახურის ხელმძღვანელის/მთავარი სპეციალისტის ფუნქციები

ა. აკადემიის ელექტრონულ და საბუღალტრო სისტემაში ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ბ. ბუღალტრული ანგარიშგების საფუძველზე სისტემების ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური და ოპერატიული ანალიზი;

გ. აკადემიის ფინანსური პოლიტიკის, პროცედურების, ნორმების, წესების შემუშავება და განახლება;

დ. შესყიდვების განხორციელების ორგანიზება და შესყიდვების გეგმების შესრულების მონიტორინგი;

ე. ძირითადი საშუალებების, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და ძირითადი კაპიტალდაბანდებების აღრიცხვის უზრუნველყოფა;

ვ. საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით ქონებისა და საფინანსო ვალდებულებათა ინვენტარიზაციის ჩატარება;

ზ. კომუნალური გადასახადების გადასახდელად დოკუმენტაციის მომზადება და გადახდაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

თ. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა;

ი. აღრიცხვა - ანგარიშგების მონიტორინგი;

კ. საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების სისტემატური ზედამხედველობა;

ლ. საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით ბიუჯეტთან ანგარიშსწორება;

მ. სტრუქტურული ერთეულების მხრიდან წარდგენილი საჭიროებების ფინანსური შეფასება/ანალიზი;

ნ. პრიორიტეტების იდენტიფიცირება აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გათვალისწინებით;

ო. ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და სენატზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით;

პ. ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის განხორციელება ყოველ კვარტალურად;

ჟ. რექტორის სრულად ინფორმირებულობა ბიუჯეტის შესრულებაზე;

რ. ბიუჯეტის იზნობრივი ხარჯვისა და მისი შესრულების ანალიზი;

ს. საფინანსო საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების აკადემიაში იმპლემენტაცია.

მუხლი 3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

3.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს აკადემიის სენატი;

4.2. დებულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4.3. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.